სახელმწიფო მართვა და საჯარო პოლიტიკა
Public Policy and Administration

2. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი

პოლიტიკურ მეცნიერებათა მაგისტრი (სახელმწიფო მართვა და საჯარო პოლიტიკა)
MA in Political Science (Public Policy and Administration)

3. სამაგისტრო პროგრამის თანახელმძღვანელები:

ნანა მაჭარაშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების ასოცირებული პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი

სტივენ ჰარისი, კარლეტონის უნივერსიტეტის პროფესორი, საჯარო პოლიტიკისა და ადმინისტრირების სკოლის მკვლევარი, საჯარო პოლიტიკის და სახელმწიფო მართვის დოქტორი

სახელმწიფო მართვისა და საჯარო პოლიტიკის წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა მიმართულებასა და კარლეტონის უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერების დეპარტამენტთან აქტიური თანამშრომლობის საფუძველზე ხორციელდება; პროგრამის კურიკულუმის შემუშავებაში მონაწილეობდა კანადის კარლეტონის უნივერსიტეტის შესაბამისი დარგობრივი კავალიფიკაციის მქონე პროფესორი სტივენ ჰარისი, რომელიც თანადროულად ქ.ოტავას სახელმწიფო მართვისა და საჯარო პოლიტიკის კვლევითი ინსტიტუტის მკვლევარი და გლობალური საჯარო პოლიტიკური კვლევის ასოციაციის წევრია. სტივენ ჰარისი სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში შემოთავაზებული საგნებიდან რამდენიმეს თავად გაუძღვება და ჩართული იქნება სამაგისტრო ნაშრომების დაცვისა და ხელმძღვანელობის პროცესში. იგი ასევე აქტიური მონაწილე გახდება პროგრამის შესაბამისი დარგობრივი სპეციალისტებისა და მკვლევარების პოტენციურ დაინტერესებაში და უზრუნველყოფს პროგრამას საერთაშორისო კავშირებითა და პერსპექტივებით.

4. სამაგისტრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

მოქნილი, ანგარიშვალდებული და ქმედითი მმართველობის ფორმირება საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა და ნებისმიერი ხელისუფლების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს წარმოადგენს. აღნიშნული საქართველოს მთავრობის 2008-2012 წლების პროგრამაში მითითებულ პრიორიტეტთა შორის ერთ-ერთ პირველ ადგილს იკავებს ნატო-ში გაწევრიანების პირობების დაკმაყოფილებასა და ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი გზებით აღდგენასა და სამოქალაქო ერთობის მშენებლობასთან ერთად . თუმცა, ისეთი მთავრობის შექმნა, რომელიც გაცილებით უკეთ იმუშავებდა და რომლის შენახვაც უფრო იაფი დაჯდებოდა ხშირ შემთხვაში, სურვილის დონეზე რჩება და რეალურად ნაკლებად ხორციელდება. შესაბამისად, საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების სწრაფვა, საზოგადოებას შესთავაზოს მოქნილი, ანგარიშვალდებული და ქმედითი მმართველობის სისტემა, უნდა ეფუძნებოდეს მეცნიერულ დასკვნებსა და სამეცნიერო კვლავებზე დაყრდნობით შემუშავებულ რეკომენდაციებს, აკადემიური სფეროს მიერ შემოთავაზებულ და მონაცემებზე დაყრდნობით ჩამოყალიბებულ ცოდნასა და გამოცდილებას.

მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელი საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემაში სახელმწიფო მართვისა და საჯარო პოლიტიკის არაერთი პროგრამაა შექმნილი, რომლის ფარგლებში მინიჭებული ხარისხი და კვალიფიკაცია, ერთეული გამონაკლისების გარდა, ხშირ შემთხვევაში სადაო ხდება, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს როგორც ახალი ცოდნის გენერირებისა და ანალიტიკური პოტენციალის წარმოების ორგანიზაციას ამ მიმართულებით თავისი წვლილი ნაკლებად შეაქვს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა მიმართულების ბაზაზე შემქნილი და ინიცირებული ახალი

ინტერდისციპლინარული სამაგისტრო პროგრამა სახელწიფო მართვასა და საჯარო პოლიტიკაში სწორედ აღნიშნული ვაკუუმის დაძლევისკენაა მიმართული და მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს სახელმწიფო სექტორის გაუმჯობესების საქმეში ერთი მხრივ პრაქტიკოსი ანალიტიკოსებისა და საჯარო მოხელეების მომზადების, მეორე მხრივ კი საჯარო პოლიტიკისა და ადმინისტრირების სფეროში სამეცნერო კვლევებისა და ახალი ცონდის წარმოების თვალსაზრისით. სახელმწიფო მართვისა და საჯარო პოლიტიკის პროგრამის შეთავაზება სახელმწიფო პრიორიტეტებისა და შესაბამისად, მოქნილი, ანგარიშვალდებული და ქმედითი მმართველობის განხორციელების გარანტი გახდება

სახელმწიფო მართვისა და საჯარო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამა სამაგისტრო ხარისხის მიღების შესაძლებლობას სთავაზობს ბაკალავრის ხარისხის მქონე ყველა მსურველს, რომელსაც აქვს სახელმწიფო მართვისა და საჯარო პოლიტიკის ამა თუ იმ სპეციფიკურ სფეროში პროფესიონალური ერთი მხრივ დახელოვნების, მეორე მრივ კი კვლევის სურვილი. პროგრამა სახელმწიფო სფეროს მართვისა და ადმინისტრირების თეორიულ-კონცეპტუალურ მოდელებთან ერთად, სტუდენტებს აწვდის ტეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას საჯარო პოლიტიკის მეთოდოლოგიური და ანალიტიკური ინსტრუმენტარიით, რაც მათ სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ საშუალებას მისცემს საკუთარი სურვილის შესაბამისად აქტიურად ჩაერთონ საჯარო პოლიტიკის წარმოების, ფორმულირების, გადაწყვეტილეების მიღებისა და შეფასების პროცესში; სახელმწიფო სფეროს მართვის პროცესში სტრატეგიული დონიდან დაწყებული მართვის ოპერაციონალური დონით დასრულებული; გახდნენ აღნიშნული სფეროების პრაქტიკოსი ანალიტიკოსები და დაკავდნენ სახელმწიფო თანამდებობებზე; ისევე როგორც ჩაერთონ არასამთავრობო სექტორში და უზრუნველყონ აღნიშნული სფერო პროფესიონალური და მტკიცებულებებზე დაფუძნებული ანალიტიკური პროდუქციით, რაც არასამთავრობო სექტორს საჯარო პოლიტიკის წამოებაში ჩართვის მეტ საშუალებას უზურნველყოფს. სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებს ასევე შეეძლებათ საჯარო პოლიტიკისა და ადმინისტრირების სფეროში სამეცნიერო კვლევების წარმოება, რაც მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც საჯარო პოლიტიკასა და ადმინისტრირების საკითხების შესწავლის თვალსაზრისით საქართველოში სერიოზული ვაკუუმი შეიმჩნევა. ამ მხრივ, აღნიშნული სამაგისტრო პროგრამა რადიკალურად განსხვავდება სხვა ანალოგიური სახელწოდებების მქონე საქართველოში მოქმედი პროგრამებისგან, რადგან თავისი არსით აერთიანებს ერთი მხრივ, საჯარო სფეროს პრაქტიკოსი მოხელის მომზადებას და მეორე მხრივ კი, უზრუნველყოფს საჯარო პოლიტიკისა და ადმინისტრირების საკითხების სამეცნიერო შესწავლას.

სამაგისტრო პროგრამა არა მარტო იძლევა საშუალებას სახელმწიფო სფეროს მართვისა და საჯარო პოლიტიკის წარმოების შესახებ ჰოლისტიკური წარმოდგენის შესაქმნელად, რომელიც ამავდროულად გამყარებულია კომპარატივისტულ ჭრილში მოწოდებული არაერთი შემთხვევებითა და საქართველოს გამოცდილებით, არამედ ცდილობს სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს შეთავაზოს სახელმწიფო მართვისა და საჯარო პოლიტიკის წარმოების გაცილებით დაკონკრეტებული და ფოკუსირებული ხედვა დაყვანილი პოლიტიკის სხვადასხვა სფეროებში – საგარეო, სოციალურ, გარემოს დაცვის, ქალაქ-დაგეგმარებისა და მიწათსარგებლობის, კულტურის სფეროში სახელმწიფო მართვის სპეციფიკაზე, არსებულ პრობლემებზე, რეფორმირების მოდელებსა და გამოცდილებებზე, არსებულ გამოწვევები და ა.შ. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფილია პროგრამის არჩევითი, საჯარო სფეროს მოდულების მეშვეობით და სტუდენტს სრული თავისუფლება ეძლევა მათ შორის არჩევანში. თუმცა, პრაქტიკასა და სამაგისტრო შრომასაც საჯარო პოლიტიკის არჩეულ დარგობრივი სფეროზე ფოკუსირებით ახორციელებს. აღნიშნული, პროგრამის ხელმძღვანელებს მიაჩნიათ ხარისხიანი და ფოკუსირებული კვლევის გარანტად.

მიზანი – სამაგისტრო პროგრამის მიზანია სახელმწიფო მართვისა და საჯარო პოლიტიკის სფეროში ერთი მხრივ პროფესიონალი პრაქტიკოსების, მეორე მრივ კი მკვლევრების მომზადება, რომელთაც საკუთარი ცოდნისა და უნარ-ჩვევების საფუძველზე სახელმწიფო მართვისა და საჯარო პოლიტიკის დარგში მნიშვნელოვანი წინსვლისა და რეფორმირების პროცესის დაჩქარებისა და ეფექტური განხორციელების შესაძლებლობებს შექმნიან.

შედეგი:

სამაგისტრო პროგრამის საკვალიფიკაციო ჩარჩო-დახასიათება (ბერლინის დისკრიპტორის მიხედვით):

სამაგისტრო პროგრამა სახელმწიფო მართვასა და საჯარო პოლიტიკაში იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის კურსდამთავრებულები არიან და პოლიტიკური მეცნიერება მათთვის ან ძირითადი, ან მეორადი სპეციალობის სახით იყო ათვისებული, უზრუნველყოფს საბაკალავრო საფეხურზე საჯარო პოლიტიკისა და სახელმწიფო მართვის საკითხების სიღრმისეულ და კონკრეტულ შემთხვევებზე დაყვანილი მეთოდოლოგიის მეშვეობით გაღრმავებას, ხოლო მათ, რომელთაც მანამდე პოლიტიკურ მეციერებასთან კავშირი არ ჰქონიათ, შესაძლებლობას მისცემს თეორიულ-კონცეპტუალურ და მეთოდოლოგიურ დონეზე აითვისოს სახელმწიფო მართვისა და საჯარო პოლიტიკის საკითხები. ამავდროულად, სამაგისტრო პროგრამა იძლევა ათვისებული თეორიული ცონდის პრაქტიკაში გამოყენების საუკეთესო საშუალებებს და ქმნის კვლევის წარმოების თვალსაზრისით საჯარო პოლიტიკისა და ადმინისტრირების სფეროში ახალი ცოდნისა და მტკიცებულებების წარმოების შესაძლებლობებს დაცული სამაგისტრო ნაშრომებისა და სხვა ანალიტიკური პროდუქციის მეშვეობით, რომელიც იწარმოება პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მიერ;

სამაგისტრო პროგრამა სახელმწიფო მართვასა და საჯარო პოლიტიკაში უზრუნველყოფს პრობლემის გადაწყვეტაზე ორინეტირებული კოგნიტური უნარების გადაცემას, რაც სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს კონკრეტულ, ახალ სიტუაციებში და ყოველდღიურ პრაქტიკაშიც ადაპტირების პროცესს გაუადვილებს. პრობლემის გადაწყვეტაზე ორიენტირებული ხედვა, პოლიტიკის ანალიზის წარმოების უნარ-ჩვევები და ქსელური ანალიზის უნარ-ჩვევები მას საშუალებას მისცემს გამოიყენოს ეს ცოდნა და უნარები როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო სექტორში მუშაობის პროცესში და საზოგადოებრივი პრობლემების ეფექტური გადაწყვეტის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს მომავალში.

პროგრამის ინტერდისციპლინარული ხასიათი და სახელმწიფო მართვისა და საჯარო პოლიტიკის საკითხების დარგობრივი სფეროების მიხედვით განხილვა მიღებული ცონდისა და ათვისებული უნარ-ჩვევების მულტიდისციპლინარულ კონტექსტში გამოყენების საშუალებას მისცემს.

პროგრამის წარმატებით დასრულების შემთხვევაში სტუდენტებს:

- გააჩნიათ ცოდნის ინტეგრირების უნარი, შეუძლიათ თავი გაართვან სირთულეებს და არასრულ ან შეზღუდულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ჩამოაყალიბონ მოსაზრებები, რომლებშიც მათი ცოდნისა და მოსაზრებების გამოყენებასთან დაკავშირებული სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობებიც აისახება;

- შეუძლიათ თავიანთი დასკვნების საჯარო წარდგენა, მათი მკაფიო დასაბუთება შესაბამისი ცოდნითა და ლოგიკით როგორც სპეციალისტებთან, ისე არასპეციალისტებთან;

- გააჩნიათ სწავლის ისეთი უნარ-ჩვევები, რომელიც თვითგანმსაზღვრელი ან დამოუკიდებელი სწავლის გაგრძელების საშუალებას იძლევა.

დასაქმების სფეროები – აღნიშნული სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობა იქმნება როგორ სამთავრობო, ისე არასამთავრობო სექტორში, კვლევით დაწესებულებებსა და ანალიტიკურ ცენტრებში. ასევე, შესაძლებელია ინდივიდუალური დასაქმება და დამოუკიდებელ ექსპერტად მუშაობა.

სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა :

სახელმიწფო მართვისა და საჯარო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამა მოიცავს შემდეგ სტრუქტურულ ელემენტებს:

1. სწავლების ძირითადი სავალდებულო მოდული (60 ECTS), რომელიც იშლება მეთოდოლოგიურ, საჯარო პოლიტიკისა და ადმინისიტრირების (მართვის) თეორიულ-კონცეპტუალურ, საჯარო პოლიტიკის ანალიტიკურ და მაკრო და მიკროეკონომიკის ნაწილებად;
2. საჯარო პოლიტიკის არჩევითი დარგობრივი სფერო. სასწავლო კომპონენტი (20 ECTS)
3. საჯარო პოლიტიკის არჩევითი დარგობრივი სფეროს შესაბამისი პრაქტიკა. პრაქტიკული კომპონენტი (10 ECTS)
4. სახელმწიფო მართვისა და საჯარო პოლიტიკის პრობლემატური საკითხის ემპირიულ და კონკრეტულ დარგობრივ სფეროებზე ფოკუსირებული საველე გამოკვლევის შედეგების ამსახველი სამაგისტრო ნაშრომი (30 ECTS)

5. სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები

სახელმწიფო მართვისა და საჯარო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამის ინტერდისციპლინარული ხასიათიდან გამომდინარე პროგრამის თანახელმძღვანელების, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესორებისა და მოწვეული ლექტორების საერთო შეთახხმების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებით, პროგრამაზე ჩარიცხვაზე არ წესდება რაიმე შემზღუდველი ბარიერი რომელიმე სპეციალობისათვის და ის ღიაა აბსოლუტურად ყველა სპეციალობის მსრუველთათვის იმ პირობის დაცვით, რომ პროგრამის ჩაბარების მსურველი უნდა ფლობდეს ბაკალავრის დიპლომს და ერთიან ეროვნული გამოცდებში გადალახული უნდა ჰქონდეს აუცილებელი მინიმალური ზღვარი.

პროგრამაზე ჩარიცხვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა რომელიმე დასავლეთ ევროპული ენის B2 დონეზე ფლობა და შესაბამის გამოცდაში აუცილებელი მინიმუმის გადალახვა. გარდა ამისა მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა გასაუბრებასა და სპეციალობის გამოცდებში დაგროვებულ ქულებს შემდეგი განაწილებით:

1. უცხო ენის გამოცდა – 60%
2. გასაუბრება _ 20%
3. გამოცდა სპეციალობაში (პოლიტიკური მეცნიერება) – 20% (წერითი: ესსე და ღია კითხვები)

სამაგისტრო პროგრამაზე ჩაბარების მსურველი სახელმწიფო მართვისა და საჯარო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი ხდება იმ შემთხვევაში, თუ საერთო შედეგებით დააგროვებს 50 ქულაზე მეტს.